# სახალხო გაზეთი

№ 564 სამშაბათი, 3 აპრილი, 1912 წ. № 564

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1 ამა აპრილს, ღამით, გარდაიცვალა

## მიხეილ გიორგის ძე თუხარელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ განსვენებულის მეუღლე **ელენე სოლომონის ასული თუხარელისა**, ცოლის და **ელისაბედ სოლომონის ასული ვარდანოვისა** და ცოლის ძმა **ნიკოლოზ სოლომონის ძე ვარდანოვი**.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის სახლში, რეუტოვის ქუჩაზე, № 11. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. (1,344.1)

---

**ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოების პირველი და მეორე რაიონის კომიტეტი**, მწუხარებით აუწყებს თავის წევრთა და ვაჭართა უდროოდ გარდაცვალებას მთავარ კომიტეტის წევრის

## ივანე გაბრიელის ძის ცინცაძისას.

კომიტეტი სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას, დაესწრონ გამოსვენებას დღეს, 3 აპრილს, თავის ბინიდან, მოსკოვის ქუჩა № 2, შუადღის $12\frac{1}{2}$ საათზე, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი, შემდეგ მივასვენებთ ტფილისის ვაგზლამდის. იქიდან იქნება წასვენებული თავის სამშობლოში, საჯევახოს სადგურზე. 4 აპრილს დილის 4 საათზე საჯევახოდან წაასვენებენ ღ. ჩოხატაურში დილის 10 საათზე, სადაც დაკრძალავენ წმიდა გიორგის ეკლესიის გალავანში, სოფ. ფარცხმაში. (1.8.1)

---

მეუღლე თეოდორა ალმასხანის ასული ცინცაძისა, შვილები: მიხა, გრიშა და ქეთევან, ბიძაშვილი განსვენებულისა, პავლე ცინცაძე, ცოლის ძმები: ალექსანდრე, მელქისედეკ, ბიქტორ, და ვასილი სიხარულიძეები, ბიძა ძაღუნა და ბესარიონ ღოლიძენი, ნათლია ბავშვებისა გიორგი ცინცაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოცდა თერთმეტ მარტს საღამოს ხუთ საათზე გარდაიცვალა ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ

## ივანე გაბრიელის ძე ცინცაძე

რაზედაც ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას დაესწრონ გამოსვენებას დღეს, 3 აპრილს ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე, მოსკოვის ქუჩა № 2. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს მივასვენებთ ტფილისის სადგურზე საიდანაც წავასვენებთ სად. საჯევახოში. ოთხშაბათს დილის 4 საათზე იქიდან წავასვენებთ დაბა ჩოხატაურში. დილის 10 საათზე დაკრძალვა მოხდება წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში სოფ. ფარცხმაში, თავის სამშობლოში. (1—9—1)

---

სოფელ ლესაში (გურია) თავის საკუთარ მამულში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## აზ. დიმიტრი (გიტო) დავითის ძე მგელაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის ქირისუფალნი. დაკრძალვა მოხდება 3 აპრილს, სამშაბათს, ლესის მღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. (1—10—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბა. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Vassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი ფასებით. (წ.—1010—306)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—68.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი) ბ-ძე დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 66. (25.1179.6)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9-11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—131).

---

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი**, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან**; წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

---

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ ვადა „გრდემლის" მე-II წიგნისთვის მასალების წარმოდგენისა, თანახმად ზოგიერთ მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილისა, გაგრძელებულია 30 აპრილამდე.

მისამართი მასალების გამოსაგზავნად: **ტფილისი, ოლგის შესახვევი № 5, გ. ს. რცხილაძეს.** (6.1185.1)

---

**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია** (ქუთაისში) შეუდგა **კიტა აბაშიძის** თხზულების **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ" მეორე ტომის** ბეჭდვას. ამ ტომში მოთავსებული იქნება აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის და სხვა თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. წიგნი სივრცით 300 გვერდამდე იქნება. წინასწარი ხელმოწერით ღირს **ორ აბაზად.** წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

**მეორე ტომზე ხელის მომწერს პირველი ტომი ათ შაურათ დაეთმობა.**

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და „იმერეთის" კანტორაში.
**ტფილისში:** წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და ი. მერკვილაძესთან.
**ბაქოში:** ვას. ახვლედიანთან და ვას. ქიქოძესთან.
**ბათუმში:** ირ. ავალიშვილთან.
**გორში:** არჩვაძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** ივ. ყანჩელთან.
**სოხუმში:** ნ. ჯანაშიასთან.
**კაცკავში:** ვ. ბურჯანაძესთან.
**ხონში:** წ. კ. განყ. წიგ. მაღაზიაში და ექ. ბახტაძის მეუღლესთან.
**ოზურგეთში:** „შრომის" წიგნის მაღაზიაში.
**სამტრედიაში:** წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
**ზესტაფონში:** წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
**ჭიხაიში:** ექ. ლოსაბერიძესთან.
**ჭიათურაში:** ივ. გომელაურთან და ირ. დეკანოზიშვილთან.
**ძვ. სენაკში:** დ. ღურეშიძესთან.
**ახ. სენაკში:** დგებუაძის წიგნის მაღაზიაში. (5—1184—1)

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის",

25 ცალი 15 კ. ⅌ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

**„ძმ. სეილანოვები"**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.10)

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 27.1)

---

## სავაჭრო სახლი ე. ი. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანის

**ცალ-ცალობით გამყიდველ განყოფილებაში**

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქუევისა № 34.

კვირაცხოვლობის კვირაში **ფომინობას**

**აპრილიდან 7 აპრილამდე დანიშნულია დიდი ვაჭრობა, საზღაპრო იაფ-ფასად გაიყიდება მოდური სასამკაულო საქონელი:**

მზა-მზარეული თეთრეული ქალებისა და კაცებისა, ქოლგები, შეკერილი კოფთები აბრეშუმისა და კუწუბიანი, აბრეშუმის ქვედა ტანი, ჩულქეულობა, მამაკაცებისა და ბავშვების ყველანაირი ქუდები, კრახმლის პერანგები, გალსტუხები და აუარებელი სხვა ახალ-ახალი საქონელი.

ყველა საქონელს გადაკრილი უკანასკნელი ფასები ზედ აწერია. (5.53 .3)

---

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

## კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

| 11—1 საათ. | 1—5 ს. | 5—2 ს. |
|---|---|---|
| **საუზმე**—30 კ. | **სადილი.** | **ვახშამი**—30 კ. |

**ყოველ დღე:** ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—20)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გრდემლი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.46)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—190)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის ღი. ქუჩაზე, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**ბოყოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.
**არგუტინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე $9^1/_2$ სათ. 11 ს.
**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. $1^1/_2$—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—1 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.
**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს. საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიმბირ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1032—70).

ელექტრონისა და რენტგენის **სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—22).

---

გამოცდილი

## მასწავლებელი

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.127)

---

**1912 წ. 22 მარტს, ქუთაისიდან-ყვირილამდე**

## მატარებელში დავკარგე

სერი მატერიის პორტფელი, სხვა და სხვა საბუთებით. მპოვნელს ვთხოვ ეს პორტფელი თავის საბუთებით გამომიგზავნოს ფოსტით ან პირადად, რისთვისაც მიიღებს საჩუქრად 5 მანეთს. მისამართი: **დაბა ყვირილა, გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე.** (2.1186.1)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—12 ს.
**ბა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წლ.—1018—241)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ ძახდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 135)

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—6)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.82)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—6)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 31 მარტს: ოსმალეთის საგენერალო ელჩი რამზი-ბეი, ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ნ. ნ. ლაგოდა და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

✦ **ნამესტნიკის საბჭოს** 4 აპრილს 5 საქმე აქვს განსახილველი. სხვათა შორის, განიხილავს საკითხს იმის შესახებ, მიეცეს თუ არა შემდეგი მსვლელობა თელავის სამაზრო სამხედრო საკრებულოს წევრთა საქმეს.

✦ **ნ. ნ. ლაგოდა,** ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის** საკითხი სამინისტროში 10 აპრილს იქნება განხილული. ამ საქმის გამო 4 აპრილს პეტერბურგს მიემგზავრება ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

✦ **ჯარში გასაწვევთა სიის** შედგენას ქალაქის სამხედრო საკრებულო ამ დღეებში დაასრულებს და ქალაქის გამგეობის შენობაში გამოჰკიდებს.

✦ როგორც გადმოგვცეს სარატოვის კატორღის ციხეში 13 მარტს გარდაცვლილა **ილია** (ზაქარია) **ივანეს ძე ქვლივიძე**.

✦ ბ-ნ ჩადუნელს ქართულად უთარგმნია ფრ. ენგელსის ცნობილი წიგნი **„მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“**, რომელიც მოკლე დროში დაიბეჭდება.

✦ სოფლის სამეურნეო ამხანაგობა „ანკარა“, რომლის წევრებათ ითვლებიან: გ. თოიძე, გ. შუბლაძე, გ. გუმარიტაშვილი, ა. ქეშელაშვილი და გ. ბერკიჭაშვილი ამ გაზაფხულიდან შეუდგა **მერძეურობას ქსანში.** პირველ აპრილიდან უკვე შეუდგა ტფილისში რძის ჩამოტანას და ვაჭრობას. რძე წვრილ-წვრილი ჭურჭლით იყიდება, ჭურჭელი დაბეჭდილია, პლომბით შეკრული. 10, 15, 20, 25 კაპეიკიანი ჭურჭლებია და ამ ფირმის მსურველთათვის სახლში მიაქვს სრულიად ახალ-ახალი რძე.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 1 აპრილს თავი მოიწამლა ევდოკია ვასილის ასულმა ფროლოვმა, რომელიც ბებუთოვის ქუჩაზე სცხოვრობს. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ 1 აპრილს კახეთის ქუჩაზე **ტრამვაის ვაგონიდან ჩამოვარდა** ტფ. მოქალაქე ივანე დავითის ძე მებადუროვი, 60 წლისა. ჩამოვარდნის მიზეზი ის იყო, რომ მებადური მთვრალი იყო და გაქანებულ ვაგონზე შეხტა, მაგრამ თავი ვერ დაიჭირა და ძირს გადმოვარდა. მებადუროვი მსუბუქად დაშავდა და არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **ტფ. ფუნიკულიორის დირექციამ** ქალაქის გამგეობას გუშინ 26 უფასო ბილეთი გამოუგზავნა.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო** ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი გუბერნატორს შეეკითხა: ახლავ შეუდგეს ქალაქის გამგეობა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ამომრჩევლების სიის შედგენას, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებას მოუცადოს.

✦ **ადგილი ვაჭართა თავშესაფარისთვის.** კვირას, 1 აპრილს, ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა, საბირჟო კომიტეტისა და ვაჭართა წარმომადგენლებმა და არქიტექტორებმა ავლაბარში დაათვალიერეს ის 200 საჟენი მიწა, რომელიც ვაჭრმა მულიევმა შესწირა ღარიბ და დაუძლურებულ ვაჭართა თავშესაფარის ასაშენებლად. კომისიამ ეს ადგილი მოიწონა და დაადგინა, ვაჭარ მულიევისგან ფულით შეიძინოს კიდევ 200 საჟენი მიწა და თავშესაფარი ააშენოს.

✦ 31 მარტს ელისაბედის ქუჩაზე შეიპყრეს არტემ მოსესას ძე თუმანოვი, 28 წლისა, რომელიც გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 31 მარტს ტფილისში 27 უპასპორტო შეიპყრეს, ხოლო 1 აპრილს—5.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** კრება დღეს მოხდება. განიხილავს წალკის წყალსადენის საკითხს.

### სასწავლებლებში.

✦ **ტფ. ყველა სასწავლებლებში** გუშინ სწავლა დაიწყო.

### სასამართლო

✦ **სასამართლოში** გუშინდლიდან წესიერი მუშაობა დაიწყო.

**შეცდომის გასწორება.** კვირის მეთაურში (მესამე სვეტის ბოლოდან ოცდა მეექვსე სტრიქონი) **დაბეჭდილია:** „მე-XIX საუკუნეს საქართველო უზომოდ დაუძლურებული ფიზიკურად და რელიგიოზურ მისტიციზმით გამსჭვალული“ და სხვა, უნდა იყოს: **მეთვრამეტე საუკუნეს** და სხვა.

„რაჭველის“ კვირინდელ წერილის ბოლოს დაბეჭდილია: „შენს ბაგეებს მურავიოვის საზიზღარი დაღი ამჩნევიაო“. გამოშვებულია **„კოცნის** დაღი“ და ძირს შეცდომით არის ჩამოტანილი ეს სიტყვა.

# ვახტანგ ჯამბაკურიან ორბელიანის

### დაბადებიდან ასი წლის თავი.

(1812—1912)

ქართველები მაინცა და მაინც მდიდრები არა ვართ მწერლებით. მწერალთა რიცხვი მცირე გვყავს.

მართალია ამ მცირე რიცხოვან მწერალს თავში რუსთაველი უდგია გენიოსი ისეთი, როგორც ჰომიროსი გინდ შექსპირი; მართალია მას მხარს უმშვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია და აკაკი, მაგრამ მაინც მცირეა რიცხვი ჩვენ მწერალთა.

მცირე ვით რიცხვი ჩვენის ერისა...

მშვენიერია ეს მცირე-რიცხოვანი გუნდი—ვით ჩვენი პატარა ერი, ვით ჩვენი თვალ-წარმტაცი სამშობლო.

მრავალ-ტანჯვისა და უბედურობის გადამტანია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მის დროშაზე ყოველთვის ერთი მცნება ეწერა; „ჭირსა შიგან გამაგრება იცი უნდა, ვით ქვიტკირსა“ და ეს დროშა ხელიდან თავის დღეში არ გაუგდია.

და დღევანდლამდის მოვაღწიეთ.

მრავალს მტერს ჩვენის ქვეყნისას საკმაოდ აზღვევინა ისტორიულის აუცილებლობის განგებამ ის ზარალი, ის უსამართლოება, რომელიც ჩვენ მოგვაყენა წარსულში...

სხვანიც უსათუოდ მომავალში განიცდიან მასვე. ასეთია კანონი ცხოვრებისა...

ჩვენის სულიერის ძლიერების გამომსახველი და შემნახველი ჩვენი მწერლობაა.

უმადური ვართ ჩვენის მწერლების წინაშე:

სიცოცხლეში ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, შიმშილი, წყურვილი და შუბლში ტყვია, დამარხვის დღეს—სიტყვები, ვარდისა და იის, ვერცხლის გვირგვინები.

მეცხრე დღეს ადამიანსაც აღარ ახსოვს... ასის წლის შემდეგ ისეთი მოცლილი ვინ იქნება იგინი გაიხსენოს.

აი, გ. ერისთავი ჩვენის თეატრის დამფუძნებელი და შემქმნელი, ახალის მიმართულების დამამკვიდრებელი ჩვენს მწერლობაში წინა დღით გავიხსენეთ თ. ვახტანგ ე. ორბელიანის დაბადებიდან არის წლის თავი ხუთს აპრილს, ნუ თუ მის შესახებაც ასე უნდა მოვიქცეთ.

თ. ვახტანგ ორბელიანი დიდად საყურადღებოა, არა თუ როგორც მწერალი, არამედ როგორც ადამიანი, საზოგადო მოღვაწე.

ეს ერთი პირველ მერცხალთაგანია, რომელმაც გვამცნო მიძინებულ ერის გამოფხიზლება.

გვამცნო, თვითაც იგრძნო და ეს გრძნობა მოქმედებით გამოხატა,

წამება და ტანჯვა მიიღო თავისი რწმენის გამო.

ჩვენშიაც იყვნენ ერთგვარი „დეკაბრისტები“ ჩვენს ნიადაგზე აღმოცენებულნი და აღზრდილნი.

თ. ვახტანგი ერთი მათგანი იყო.

როგორც მწერალი თ. ვახტანგი „მამულის სიყვარულის მადლით მოსილი პოეტია“, როგორც ამბობს ილია თ. ვახტანგის მშვენიერ ბიოგრაფიაში[1] „ამ გზაზედ (მამულის სიყვარულის) ისე გადუხვევლად, ისე სისწრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც თ. ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსება ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულ სიყვარულისა მამულისშვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი. იგი წარსული უყვარს როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის: „დიდს წარსულს დიდი მომავალიც ექნება“ — ამბობს იგი. ილიას სიტყვებით ვათავებთ ჩვენს წერილს. ასეთი ადამიანი ღირსია მისი, რომ ას წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ. ჩვენ გრძნობათა წასაქეზებელია ეს გახსენება, თორემ სიკვდილს მერე გახსენება რა უნდა იყოს იმ კაცისათვის, რომელიც სიცოცხლის დასასრულს გულდამშვიდებით ელოდა მარად-ჟამს.

მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემ რიგსა
სოფლისგან გულით დაწყლულებული
. . . . . . . . . . . . . . .
სხვას არას ველი,
არავის ვწყევლი
თუმცა ამ სოფელს არცა რას ვლოცავ
მაგრამ კი შენთვის
**და სამშობლოსთვის**
**იმ დიდს კარს წინა ცრემლით ვილოცავ** (იქვე გვ. 20)

**კიტა აბაშიძე.**

[1]) ლექსები თავ. ორბელიანისა ტფ. 1894 წ. გვ. 20.

# სრულიად რუსეთის სკოოპერაციო მოღვაწეთა კრება.

### კულუარებში: დედა-ენა და კოოპერაცია.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

„თქვენ ხომ დედა-ენაზე აწარმოებთ საქმეებს ქართულ კოოპერატივებში“? მკითხა ერთმა გამოჩენილმა კოოპერატორმა ლატიშმა.

„უმეტეს შემთხვევაში რუსულად“, ვუპასუხე მე. „რასა ბრძანებთ!“ გაკვირვებით შემომხედა ლატიშმა „მაშ თქვენ ხალხს, ფართო მასსებს, კარგად ეცოდინება რუსული ენა?

„სრულიად არა“!

ლატიშის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა.

„ამხსენით, საზოგადოდ, რანაირად მიგყავთ კოოპერაციის საქმე საქართველოში“. მე ავუხსენი:

„საქართველოს კოოპერაციას დამპალი ფესვები აქვს.

შესაძლებელია ეგ სიდამპლე მთელ თქვენ ცხოვრებას მოედოს და თქვენი ქვეყნის მეგობრად კი არა, მტრად გადაიქცეს“.

„თქვენში“? შევეკითხე მაშინ მე.

ლატიშს გაეცინა. ჩვენში?... ჩვენში ამნაირი „კოოპერაცია“ შეუძლებელია.. გასაკვირველიც იქნებოდა ჩვენი მოღვაწეებისათვის, რომ ერის აღორძინების საქმე „ტრიშკინის“ მეტოდზედ დაემყარებინათ. დედა ენის ნანგრევებზედ ეროვნული კოოპერატიული საქმე აეშენებინათ. ჩვენში არ არსებობს არც ერთი ლიტვინელთა სახალხო ან საზოგადო დაწესებულება, რომელიც უცხო ენით მიჰყავდეს თავისი საქმეები. ტყუილი ლაპარაკიც არის, ვითომ ამა თუ იმ მთავრობას შეუძლიან სახელმწიფოს ენის გამეფებისათვის სხვა ენები განდევნოს. განდევნის მეთოდები მთავრობებს დაუძველდათ და იარაღიც დაუჩლუნგდათ... მაგრამ ეგ იარაღი კარგადაც სჭრის, საცა ხალხი თავის ენას პატივისცემით არ ეპყრობა, ამ შემთხვევაში მთავრობა რა შუაშია?

მიკვირს, რომ საქართველო, განთქმული თავისი მდიდარი ენით, ლიტერატურით, დიდებულ იდეებით გატაცებულ ხალხით თავის დედა ენას ვერ უვლის. ჩემის აზრით ვერც ერთი თქვენი დაწესებულება, მით უმეტეს კოოპერაცია, ვერ იხეირებენ, თქვენ სოციალურ ორგანიზაციებს ის მოსიყვარულე გული და მედგარი ხასიათი არ ექნება, რომელნიც ამაგრებენ და აღონიერებენ მათ ეროვნულ-ეკონომიურ ბრძოლის ველზე“.

„ქართველი დელეგატი ბრძანდებით“? შემეკითხა საშუალო ხნის კაცი. თან ახლდა მოხუცი, ტიპიური უკრაინელი ჩამოშვებულ ულვაშებით.

„დიახ“ ვუპასუხე მე.

„მე გახლავართ უკრაინის ერთ-ერთ კოოპერატიულ ჟურნალის რედაქტორი. ეს, მიუბრუნდა მოხუცს, ჩვენი პატივცემული კოოპერაციის მამაა უკრაინაში“... ერთმანეთი გავიცანით. „ქართველები ჩვენ უკრაინელებს ძალიან უყვართ. თქვენ ცხოვრებას დაკვირვებით თვალყურს ვადევნებთ“ მიუხრა რედაქტორმა.

მე გამე[illegible]

„რა ვქვა[illegible], [illegible]“? [illegible] ჩემს მო[illegible] ბის ცხოვრება ისე შესანიშნავია, რომ თვალ-ყურის დევნაშიაც ენერგია დახარჯოთ? მართალია ამ უკანასკნელ ხანებში ჩემს სამშობლოს ცოტა ნიშანწყალი შეეტყო... საზოგადოებამ გამოიღვიძა... ხალხის შუა გულშიაც კოოპერატიულ მოძრაობამ იჩინა თავი და სწრაფად იზრდება, მაგრამ საერთოდ ჩვენი ცხოვრება ყოველმხრივ ისე უფერულადაა მოწყობილი, რომ ჯერჯერობით სიღარიბის მეტი არაფერი არ გვეტყობა“...

„უპატრავად თქვენთან“ გამაწყვეტინა ლაპარაკი მოხუცმა მოსაუბრემ, ცნობილმა რუსეთის კოოპერატორმა „ეგ თავის დამცირება გახლავთ. (ბაგრატიონის 1812 წლის გმირი). და წერეთლის (1-ლ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი). სამშობლო ღარიბი არ არის! საქართველომ ჩინებულად დაიჭირა „ეგზამენი“, როგორც სამხედრო ბრძოლის ველზე ისე პოლიტიკურ ასსპარეზზე. ეხლა იჩენთ თავს ეკონომიურ ორგანიზაციებით. 5 წლის წინად თქვენში ათიოდე კოოპერატივი დაითვლებოდა.. ეხლა კი თქვენი სიტყვით საქართველოში 150-დე კოოპერატივი მუშაობს... მართალია მუშაკები ცოტა გყავსთ, მაგრამ ეგ ხომ საერთო დანაკლისია. არც საშიშია, გამოჩნდებიან. საშიში სხვა არის თქვენ ცხოვრებაში: თქვენ დაწესებულებებში არა ქართული ენა მეფობს... ამაში თქვენს ინტელიგენციას დიდი დანაშაული მიუძღვის“...—„აი“, დაუმატა რედაქტორმა, „თქვენი სტუდენტობა გავიცანი და, სწორედ გითხრათ, ძალიან გამოცა და გამაკვირვა იმ მოვლენამ, რომ ერთმანეთში ქართულად არ ლაპარაკობენ“.

„ერიდეთ“, მარიგებდა მოხუცი უკრაინელი მოღვაწე კოოპერატორი. „ხალხს არ მოედოს ეს ავადმყოფობა და თქვენ კოოპერაციას, რომელიც, მართალია, პოლიტიკურ ბრძოლის გარეშე უნდა იდგეს, არ მოაკლოთ ის უპირველესი ელემენტი, რომლითაც ცოცხლობს ჯანმრთელი ეროვნული ორგანიზმი...“ *)

***

„თქვენ კოოპერატივების საქმის წარმოებაში დედა ენას უპირველესი ადგილი უჭირავს?“ შევეკითხე მე მაღალ ჯენტელმენს—მოთავეს პო-

*) საერთოდ უკრაინელებმა გამოიჩინეს დიდი ყურადღება და ცოდნა ქართულ ცხოვრებისა... უკანასკნელი ჩვენი ახალი ამბებიც კი იცოდნენ. ერთი უკრაინელი ჩემ წინ უამბობდა ამხანაგებს დაწვრილებით დავით ეპისკოპოზის ინცინდენტს.

# ჩვენი ბელეტრისტები.

### მოთხრობები დუტუ მეგრელისა.

(შემდეგი *)

დაინახავდნენ თუ არა ზურაბს, მამასახლისი, მწერალი და მსაჯულები გამოეგებებოდნენ გარედ: ზოგი ცხენის აღვირს ჰკიდებდა ხელს, ზოგი ავჟანდს ჩამოუწევდა და ამნაირად ჩამოაბრძანებდნენ ცხენიდან. მერე შებრძანდებოდა ზურაბი სასამართლოში და საითაც თითონ ნებავდა, იქით გადასწევდა სასამართლოს სასწორს იმის მიხედვით, თუ გუშინ რომელმა მხარემ უფრო მეტი უძღვნა მის უძირო ჯიბეს (გვ. 66—67).

ქართულს მოთხრობაში, თუ კომედიაში არა ერთხელ გამოუყვანიათ ჩვენს ავტორებს ქვეყნის ჭამია მევახშე, რომელიც ატყავებს გლეხებს და აზნაურებს და ბატონობს მათზე. მაგრამ მევახშეებად თითქმის ყოველთვის ვაჭრებია, მომეტებულს შემთხვევაში ტომით სომეხი. დ. მეგრელმა კი ეს ძველი ნაცნობი ტიპი დაგვისურათა ახალის ვარიაციით: ავტორი აღგვიწერს თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულ მევახშეს. ასეთი ტიპი დიდი ხანი არ არის, რაც დაჰბადა ჩვენმა ცხოვრებამ. ყოველ კუთხეში (მომეტებულად დასავლეთ საქართველოში) შევხვდებით ზურაბისთანა ტიპებს. ისინი თავდაპირველად თავიანთ მონაწილეებს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, მამულ-დედულს, რომ, როგორც თითონ ამბობენ, „შემოირგვალონ“ მამული; შემდეგ „ნეუსტოიკების“ ძალით სხვა გვარის მეზობლებსაც ჰგლეჯენ ადგილ-მამულს... და ასე, ამ რიგად, თან და თან მდიდრდებიან და ბატონდებიან ისინი მთელს სოფელში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ასეთი მევახშეობა და ქვეყნისჭამიობა დროებითი და მონაბერი გავლენა როდია, უბრალო წინწკლი როდი არის, რომ უცბად მოიწმინდოს ცხოვრებამ; არა, ის იარაა, შინაგანი სენია. სამწუხარო ის არის, რომ ეს ქვეყნისჭამიები ხშირად ნიჭიერნი, ჭკვიანნი და ენერგიის პატრონები არიან. მართლაც, რამდენი გამოცდილება, ხალხის ცოდნა, დაკვირვება, მოხერხება, ფიქრი და აზრია საჭირო მევახშე-ქვეყნისჭამიებისთვის, რომ თვისი საქმეც მშვენივრად მოაწყოს, სიმდიდრე შეიძინოს და კანონსაც ხელიდან გაუძვრეს, პატივიც დაიმსახუროს! როცა დაუკვირდებით ამ მოვლენას სერიოზულად, დაინახავთ, რომ ამ გვარად საქმის მოწყობისათვის ჭკვა და ნიჭია საჭირო. ანდა მართლაც თანამედროვე ცხოვრების პირობებში აბა სხვას რას უნდა მოახმაროს სოფლის უსწავლელმა ნიჭიერმა კაცმა თვისი ძალ-ღონე?—ადვილად ვერ გვიპასუხებთ. რა ყოჩაღია“, „რა მოხერხებულია“, „რა ჭკვიანია“, ამბობენ ხოლმე სოფელში ამისთანა პირებზე. ასეთ ქებამოწონებაშია ძალა ქვეყნისჭამიობისა! ქვეყნისჭამია მართლა ცარცვაგლეჯით კი არ ცხოვრობს, ქურდობით არ მდიდრდება; ავაზაკობა კი არ ამაგრებს მის მდგომარეობას, არამედ ერთგვარი გავლენა საზოგადო შეგნებაზე; ხალხის შეგნებით ზურაბი სწორედ ჭკვიანი და პატივსაცემია. აი ამით აიხსნება მათი გავლენა გლეხებზე, აზნაურებზე და მთავრობაზედაც. ქვეყნის ჭამია ყველას იცნობს, იცის სოფლის ყოველივე დამოკიდებულება; მას ძალა შესწევს ყველგან და ყველას წინაშე პასუხი აგოს. ამისათვის ოფიციალურად ის სოფლის დედა-ბოძია, ხალხის დამრიგებელი და მასწავლებელია: მას ეკუთვნის პირველი ადგილი სოფელში. ამავე დროს სოფლის ჭამიას საქმიანობა ყველასათვის შესამჩნევი და სამაგალითოა. მისი ცხოვრების პრინციპი და მორალი ყველასათვის ცხადი და ადვილად გასაგებია.

სოფლის მოზარდი თაობა უკეთეს იდეალს ვერ ხედავს სოფლის ცხოვრებაში ამისათვის საზრდოობს, მხოლოდ ასეთის იდეალით.

ჩვენი სოფელი ჯერ-ჯერობით ულონოა რამე წინ დაუყენოს ქვეყნისჭამიობას და მის მორალს. ჯერჯერობით სოფლის ცხოვრებაში არ ჩასახულა ისეთი რამ აზრიანი დაზნეობრივი ძალა, რომელიც შესძლებს ქვეყნისჭამიობის იდეალის შესუსტებას. ამაშია ტრაგიზმი ჩვენის სოფლისა.

რას წარმოადგენს დღეს ჩვენი, ეგრედ წოდებული, სოფლის ინტელიგენცია-სამღვდელოება და მასწავლებლები? თითქმის არაფერს. ყველა მათგანი, გარდა იშვიათის გამონაკლისისა თვის მომვლინებელთა მისწრაფების, სულის კვეთების მდაბალი და ერთგული განმახორციელებელნი და აღმასრულებელნი არიან. გარდა ამისა ისინი ჩვენებური ქვეყნისჭამიების და მათის ნება-სურვილის ყურ-მოჭრილნი მონანი არიან, რადგანაც მათგან მოელიან არამც თუ მატერიალურ ხელის შეწყობას და სარგებლობას, არამედ უფროსებთანაც შუამდგომლობას, მოსარჩლობას და მფარველობას. ამ შემთხვევაში სოფლის მასწავლებლები უფრო სამწუხარო მოვლენას წარმოადგენენ, ვინემ მღვდლები. მღვდლები, მართალი უნდა ითქვას, უფრო მეტს დამოუკიდებლობას, სულის სიმხნეს და ადამიანობას იჩენენ, ვინემ მასწავლებელნი, რომელთაც უნდა ეჭიროს ხელში ლამპარი ნამდვილის და უტენდენციო განათლებისა და დროშა ვაჟ-კაცური მოქალაქობისა. აბა დაუკვირდით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს: მათში თითქმის შეუწყვეტლად გაისმის საყვედური ქართველ სოფლის მასწავლებლების მიმართ; სხვა და სხვა კუთხეებიდგან აღგვიწერენ მათს დაუდევრობას, ანგარებას, სულიერ მონობას, გაუტანლობას, თითქმის გამცემლობასაც კი. ეს კი საშიში სიმპტომია. სჩანს, რომ ჩვენს ეროვნულს ორგანიზმში დამკვიდრებულა რაღაც სახიფათო სნეულება, რომელიც ჩვენს ძომავალს საბოლოოდ წახდენას უქადის.

ვინ არ იცის, რომ ევროპაში ყველგან სოფლის მასწავლებლები საუკეთესო წარმომადგენლები არიან ერისა: ისინი ათვითცნობიერებენ საზოგადოებას, მათ ხელთ უპყრიათ დროშა პროგრესისა. ჩვენში კი, უმეტეს შემთხვევაში, სოფლის მასწავლებლები გაბატონებულ და გაძლიერებულ ცხოვრების ელემენტებს ფეხებს და ხელებს ულოკავენ, ნახევრად მშიერ არსებობისათვის სულსა და სინიდისს ჰყიდიან...

სამწუხაროდ, ჩვენი სოფელი უპატრონოთაა დარჩენილი. თუ სოფლის შვილებმა რამე ისწავლეს და ორიოდე კლასი დაასრულეს, დახმარების ნაცვლად ისინი თითონ წურბელად აჯდებიან ხალხს: ზოგი მათგანი „მოსე მწერლის“ მოღვაწეობას ეწევა, ზოგი აბლაკატობს, ზოგი სამიკიტნოს ხსნის... ზურაბები კი, რადგანაც სოფელი არავითარ მოწინააღმდეგე ძალას არ უყენებს წინ, თავისუფლად დანავარდობენ უპატრონოდ დარჩენილ სოფელში, ბატონდებიან და, პატიოსან, მაგრამ პირდაპირ და დამოუკიდებელ, კოწიეებს „ციხეში ალპობენ“.

„უბრალო მსხვერპლიც“, როგორც „საცოდავნი“, გამთბარია ჰუმანიურის გრძნობით და სწორედ ამისთვის ეს მოთხრობა მკითხველზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც აკამაყოფილებს მის ზნეობრივ გრძნობას. მხოლოდ ამაშია ამ მოთხრობის ღირსება და არა მის ხელოვნური სიმშვენიერეში.

პირიქით, მოთხრობა ტეხნიკის მხრით შესამჩნევად სუსტობს. მისი კვანძი, მოვლენათა და ფაქტთა გადმოცემა შეუსაბამო და უხერხულია (იხ. გვ. 65). თუმცა მოთხრობა, როგორც მთლიანი ნაწარმოები, მხატვრულ ღირსებას მოკლებულია, მაგრამ მასში მაინც შეხვდებით რამოდენიმე მშვენიერ მხატვრულ ადგილებს, სურათებს. აი მაგალითი: „...კაკკუკ, კაკ-კუკ“, მოისმა კარებზე კაკუნი. „ბრაგ-ბრუგ“, „ბრაგ-ბრუგ“, მისცა ბანი კოწიას დედის გულმა კარებზე კაკუნს. „კარგია, ადექი, სანამდის უნდა იმალო“? დაუძახა ვიღამაც საბრალოს გულის კუნჭულიდან. კოწიას დედა, როგორც იქნა, ადგა და მივიდა კარებთან, რომ ცეცხლი აენთო. „მიაუ“, დაიკნავლა ამ დროს ბებრუხანა კატამ, თითქოს გული მოსდის, რა დროს ცეცხლის დანთება არისო. გაიგონეს დედის ხმა პატარეებმა და გამოცქვიტეს ყურები; იფიქრეს, ჩვენ გვიძახისო და მისცვივდნენ. ბებრუხანამ, დაინახა თუ არა ისინი, დაიწყო თავისებურად ტკბილი კრუტუნი. ცინდლებსაც ეს უნდოდათ, მივარდნენ და ჩაეკვრნენ ძუძუებში. კატა წამოდგა, ერთი გაიზმორა, ბეწვები ყალხზე შეიყენა, კუდი გაიბზიკა და მიუწვა შვილებს; მერე დაუწყო იმათ სლაქვა და კუდის ქნევით მოფერება. მოიხედა კოწიას დედამ პირუტყვთ და თავში გაუელვა: „ნეტავ თქვენ, რა ბედნიერი ხართო“, (გვ. 64-65).

მწერალს აგრეთვე მშვენიერად აქვს აღწერილი დილის რიჟ-რაჟი, მზის დიდებული ამოსვლა, ფრინველთა ჭიკ-ჭიკ-გალობა და ამავე დროს პარალელურად ნაღველი და სულის მტანჯველი წინასწარი გრძნობა საბრალო დედის გულისა. (გ. 78-79).

მოთხრობა **„გოგია დაქანა“** შინაარსის, იდეის და ფორის მხრით ძლიერ სუსტი ნაწარმოებია. ჩვენ გვიკვირს, რად მოათავსა უკვე გამოცდილმა და დაკვირვებულმა ლიტერატორმა ასეთი მოთხრობა თვის კრებულში! ეს მოთხრობა ისეთი შაბლონური, ისეთი მელოდრამატიული და ყოველივე მხატვრულ ღირსებას მოკლებულია, რომ გეგონებათ ხუთმეტ თექვსმეტი წლის გიმნაზიელის ლიტერატურული ცდაა. მთელს ძალას მოთხრობისას ავტორი ჩვეულებრივად კონტრასტებზე ამყარებს ის აქაც, ამ მოთხრობაშიაც, ისეთანა შემთხვევებს ექებს, რაც თვლებსა სჭრის და იშვიათს რასმეს წარმოადგენს.

შეძლებულმა და ხანში შესულმა გლეხმა გოგიამ შეირთო ლამაზი ახალგაზდა, ცქრიალა ქანა. სოფლის მწერალმა რევაზმა ჩქარა მოინადირა ქანს გული და საყვარლად გაიხადა. ქანას გაგიჟებით უყვარს რევაზი. უკანასკნელმა ამით ისარგებლა, ქანას გამოსტყუა გოგიას ას თუმნიანი ვექსილი, რომელიც გულუბრყვილო ქმარს გამოართვა; უჩივლა გოგიას და მთელი საცხოვრებელი წაართვა. გოგია მათხოვრად წავიდა ქუთაისში. ქანაც, რევაზისაგან მოტყუებულ-დაგდებული იქ ცხოვრობს. ორივე ცოლ-ქმარი ამისთანა მდგომარეობაში შეხვდებიან ერთმანეთს ქუთაისის სობოროს წინ...

მოთხრობის უმთავრესი გმირი—გოგია შერეულადაა დახასიათებული. ერთს ადგილას ავტორი გადაჭრით გვეუბნება: გოგია „ჭკვიანი“ იყოო. მაგრამ ამავე დროს არც ერთს გოგიას საქციელს „ჭკვიანობა“ არ ეტყობა. გოგია, პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ, არც ფიქრობდა ცოლის შერთვას, მაგრამ, ქანას ნათლიამ და მისგან შეჩენილმა კაცებმა გააბრიყვეს: „საბრალო გოგია! რანაირად გაება მახეში და ცოლად შეირთო ქანა?“ ასე გვეკითხება თვით ავტორი (გვ. 82) ამ გვარად მახეში გაბმა და ისიც ასე ადვილად განა შეჰფერის „ჭკვიან“ კაცს? ან და „ჭკვიანი“ კაცი, რაც გინდ მოხუცებულიც იყოს იგი, ქალის უნახავად „პირდაპირ ეკკლესიაში წავა ჯვრის და-

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 562.

ლონეთის კოოპერაციის ს. ფ. ვოიცეხოვსკის.

„დიახ ბატონო! პოლონეთში საზოგადოდ და პოლონეთის სუყველა დაწესებულებებში ცერძოდ მარტო პოლონური ენა სუფევს...“

ამნაირად მაშ თქვენს ენას არავითარი დაბრკოლებები არ ეღობება წინ? თქვენს ცენტალურ კოოპერატიულ ბანკში, მაგალითად, მთავრობა კანტროლის ან რევიზიის დროს, როგორ ასრულებს თავის მოვალეობას?“ და ვკითხე პოლონელ კოოპერატორს.

„რა უნდა გადაელობოს, როცა 70% ჩვენში რუსული ენა კარგად არ ესმით... საქმის დაგვარად ვთარგმნით რუსულად წიგნებს, დოკუმენტებს და პარალელურად პოლონურ ტექსტს და რუსულ თარგმანს წარუდგენთ ხოლმე მთავრობას მის განკარგულებაში. უამისოდ ჩვენ კოოპერატიულ საქმეს ვერ დავიწყებდით, უკანასკნელი მოვლენა კი მთავრობის მოგებაში არ ჩაითვლებოდა და ამიტომ ეხლა არც ფიქრობს გადალობებას“. **დავით კახელი-**

## მუსულმანების აუდიტორიის კურთხევა

კვირას, 1 აპრილს, აკურთხეს მუსულმანთა სახალხო აუდიტორია, ბოტანიკური ქუჩ. № 4. კურთხევას დაესწრო ქალაქის თავი და მუს. სასულიერო წოდება. კურთხევა დაიწყო 12 საათზე. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა: 1) თათრულად „თეატრის მნიშვნელობა და სარგებლობა“ ახუნდ-მოვლა-ზადემ. 2) რუსულად ი. ბ. თაიროვმა მოკლედ გააცნო ხალხს აუდიტორიის დაარსების ისტორია. 3) მ. გ. ახმედოვმა წაიკითხა ანგარიში შემოსავალ-გასავლისა აუდიტორიის მოწყობაზე. 4) თეატრსა და მის მნიშვნელობაზე წარმოსთქვა სიტყვა მსახიობმა აბაზოვმა. 5) კაჩარლინსკიმ, რუსულად განუმარტა ხალხს, მნიშვნელობა და სარგებლობა სახალხო სახლისა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, თათრულად, გუსეინ-ბეკ ჯამალოვმა. მერე წაიკითხეს მისალოცი დეპეშები.

ბოლოს მიულოცეს წარმომადგენელებმა ქართულ, სომხურ, რუსულ და სხვა დრამატიულ საზოგადოებებისამ, აუდიტორიებისამ, გაზეთებისამ და სხვა. ხატისოვმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა გამგეობას და აღუთქვა კვლავ ნივთიერი დახმარება ქალაქის თვითმართველობისა. დღესასწაული დასრულდა ნაშუადღევის ორ საათზე.

## სოფ. ვარიანის სკოლის შესახებ

ამას წინად „სახალხო გაზეთში“ წავიკითხე კორესპონდენცია შესახებ სოფელს ვარიანისა და მისი სკოლის ბედისა. დამწერს კარგად ვერ გაუცვნია საქმის გარემოება და ამიტომ ჯეროვანს ნათელს ვერა ჰფენს საგანსა. საქმე ასე გახლდათ.

ამ რამდენისამე ხნის წინად მე განვიძრახე დამეარსებინა ჩემი ხარჯით ჩემს სამშობლო სოფელში სახალხო სკოლა. იმ დროს სადირექციო სკოლებში გამეფებული იყო მუნჯური მეთოდი. შევეკითხე დირექციას, არ შეიძლება, რომ კერძო სახალხო სკოლა დავაარსო ჩემი გეგმით ჩემს სოფელში მეთქი. არაო, კანონი მაგისი წინააღმდეგიაო. ავდექი და ჩემს პატარა სოფელში დავაარსე წერა-კითხვის სკოლა, რომელიც რეგლამენტაციის გარეშე იდგა მაშინ და მთელი სწავლება შეიძლებოდა მოწყობილიყო მშობლიურს ენაზე. მასწავლებლად გავამწესე ჩემი ძმისწული, მცხოვრები ვარიანში თავის პატარა მამულში და სასულიერო სასწავლებელში კურს დასრულებული. ჯამაგირი დავუნიშნე პატარა, რადგანაც მაშინ მეტის გაღება არ შემეძლო და თვითონაც ჩემს ძმისწულს თვისი მამულიდან საკმარისი შემოსავალი ჰქონდა, ჩემმა ძმისწულმა სკოლა მოათავსა თავისსავე სახლში, მეორე სართულში, სადაც დიდი, ნათელი ოთახი იყო. სასკოლო ავეჯი გაუუკეთე ჩემი ხარჯით, საჭირო წიგნებსაც და ყოველ გვარს სასკოლო კუთვნილებას ვუგზავნიდი უფასოდ. ასე, რომ ამ პატარა სკოლაზე ღარიბს ვარიანს გროშიც კი არ ეხარჯებოდა. სკოლაში მიაბარეს ვარიანელებმა როგორც ვაჟები, ისე პატარა ქალებიც. სწავლა რიგზე მოეწყო და რამდენსამე წელიწადს ნორმალურად სწარმოებდა, სოფელი კმაყოფილი იყო და შეჰხაროდა თავისს ნორჩ სკოლასა. მაგრამ წინ წაუხედველობამ, რომელიც ასე ხშირია ქართველთა შორის, ძირი გამოუთხარა ამ სკოლასა. ჩემს ძმისწულს და მაშინდელს ვარიანელს მღვდელს, ჩემ დაუკითხველად ჩაეგონებინათ გლეხებისთვის, რომ უკეთესი იქნება ეს პატარა სკოლა დიდ სამრევლო სკოლად გადაკეთდესო, და ესრედ წოდებული სოფლის პრიგოვორიც დაედგენინებინათ. ეთქვათ გლეხებისთვის, რაც სკოლას იმაზე მეტი ფული მოუნდება, რასაც იაკობი ხარჯავსო, საეკლესიო თანხიდან მოგვეცემათო. გლეხებსაც პრიგოვორზე“ ხელი მოეწერათ. მაგრამ ის იმედი, რომ ზედმეტი ხარჯი სოფელს არ გადახდებოდა, გაცრუებულიყო.

ერთის წლის შემდეგ სასულიერო მთავრობას სოფლისაგან მოეთხოვა სასკოლო ფული, და რადგანაც სოფელს უარი ეთქვა, პოლიციასათვის დაევალებინა, ძალით გადაახდევინეო. მე რომ ეს შევიტყე, დაუყოვნებლივ გორის სამაზრო განყოფილებას გავუგზავნე ის ფული, რასაც იგი ითხოვდა ვარიანელებისაგან, და ვთხოვე, ნუღარაფრით შეაწუხებთ მეთქი ღარიბს სოფელსა.

სოფელი დაფრთხა, სკოლიდან გაიყვანა ყველა მოწაფენი და ქვა მიაგდო. მთავარი დამნაშავე ამ საქმეში ჩემი ძმის წული უნდა ყოფილიყო. იმას ალბად უნდოდა, რომ ჩემგანაც ელო ჯამაგირი და გორის განყოფილებიდანაც და ამ აზრით შეადგენინა „პრიგოვორი“. მღვდელსაც უთუოდ იმედი ჰქონდა, რომ მეც მერგება ლუკმაო. ბოლოს და ბოლოს ორივენი კი ხელცარიელნი დარჩნენ პირადად, და სოფელსაც ვნება მიაყენეს.—

ახლა ამ აზრზე ვდგევარ: თუ სახელმწიფო სათათბიროს გეგმა, რომლის ძალით სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს ოთხის წლის განმავლობაში, კანონად დაიდო, ვარიანში გავხსნი, თუ დამაცალდა სრულს სკოლას ჩემი ხარჯით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი—არა.

**იაკობ გოგებაშვილი.**

## ა. პ. ფილოსოფოვისა.

რუსის ქალთა ოჯახს ერთი საუკეთესო წევრი გამოაკლდა. ამას წინად პეტერბურგში გარდაიცვალა რუსის ქალთა გათანასწორების და მისთვის უფლებათა მინიჭების მომხრე ანნა პავლეს ასული ფილოსოფოვისა (იხ. კვირის დამატება). ფილოსოფოვისა გარდაიცვალა 75 წლისა. იგი ეკუთვნოდა სულით, გულითა და მიმართულებით რუსის სამოციან წლების მოღვაწეებს. სამოციან წლებში იგი ერთგულად მოითხოვდა რუსის ქალისათვის უმაღლეს სწავლის მიღების უფლებას. 1868 წელს იგი იმ პირთა მეთაურად იყო, რომელთაც ქალებისათვის ლექციებისა და კურსების მოწყობის თაობაზე მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრეს.

გარდა ამისა მის მეოხებით დაარსეს რუსის ქალებმა საქალებო ჟურნალი „ჟენსკოე დელო“.

ამას წინად პურიშკევიჩმა ტრიბუნიდან ფილოსოფოვისა გალანძღა სრულიად რუსეთის ქალთა კრების გამართვის გამო.

მისი მონაწილეობით შეუმუშავებიათ და სათათბიროსათვის გადაუციათ ქალთა გათანასწორების კანონ-პროექტი და აგრეთვე პროექტი ქალებისათვის ვექილობის უფლების მინიჭებისა.

ამ ბოლოს დროს ა. პ. ფილოსოფოვისა საქველმოქმედო საზოგადოების ქალთა საარჩევნო უფლების განყოფილების თავმჯდომარის თანაშემწედ იყო.

## საარჩევნო სამზადისი რუსეთში

### პეტერბურგის კანდიდატები

ოქტომბრისტებმა, ნაციონალისტებმა და მემარჯვენეებმა კარგად იციან, რო პეტერბურგისა და მოსკოვის მეორე კურიაში გამარჯვების იმედი არ უნდა იქონიონ. მათ მხოლოდ ჰსურთ ძალა სცადონ.

პეტერბურგის ეხლანდელ დეპუტატებში უეჭველად თავის კანდიდატურას წამოაყენებენ პ. ნ. მილუკოვი და თ. ი. როდიჩევი. ტყუილია, ვითომც როდიჩევს რაიმე ცენზი ჰქონდეს ოდესაში და იქ აპირებდეს თავის კანდიდატურის წამოყენებას.

პეტერბურგის პირველ კურიას ოქტომბრისტები საკუთრებად სთვლიან, მაგრამ ეხლა პროგრესისტები და კადეტები გამოსდავებიან. შეიძლება, კადეტებმა თუ სულ არა, ერთი ადგილი მაინც წაართვან ოქტომბრისტებს. კადეტებს უნდათ თურმე წამოაყენონ სახელმწიფო სათათბიროს წევრის მ. კოვალევსკის კანდიდატურა, მაგრამ ჯერ არ იციან, დასთანხმდება იგი თუ არა.

### დეპუტატის უარი

კიევის დეპუტატს პროფ. ლუჩიცკის უთქვამს თავის ამომრჩევლებისათვის: მეოთხე სათათბიროში ჩემს კანდიდატურას ველარ წამოვაყენებო.

ლუჩიცკის უთქვამს: სათათბირო კანონმდებელი დაწესებულება მხოლოდ ქაღალდზეა, ისე კი მარტოოდენ სათათბირო ხასიათი აქვს და არც რაიმე სარგებელი გამოაქვს მისგან, რა საჭიროა ტყუილ-უბრალოდ მოსცდეს ადამიანი იქ ჯდომითაო.

ოქტომბრისტები ამბობენ, მესამე სათათბიროში მემარცხენეებს 8—10 პროცენტი მოემატებათ, ჩვენ კი უცვლელად დავრჩებითო.

## ჩვენი ლექციების გამო.

ეს ლექციები ანუ, უკედ ვთქვათ, ამ 23-ის წლის წინად მოიწონა აწ ნეტარხსენებულ ილია ჭავჭავაძის „სახუთშაბათო სალიტერატურო საღამომ და დაბეჭდა „ივერიაში“ ცხრა ფელეტონად. თვით რედაქტორისა, ალექსანდრე ნანეიშვილისა და ბევრთაგან მაშინ დიდი მადლობაც გვერგო. მას აქეთ იგივე წერილები ერთიორად შევავსეთ, შევიმუშავეთ, „რწმენანი და ჩვეულებანი“-ს განყოფილება სრულიად ახლად დავწერეთ, და დღეს შესდგა საკმაოდ მოზრდილი შრომა, რომელსაც მე ვუწოდებ და ვყოფ ასრე:

**საქართველო**

(ისტორიულ-კულტურული განხილვა).

1. რწმენანი და ჩვეულებანი. 2. ქრისტიანობა. 3. პოლიტიკური წყობილება. 4. მრეწველობა. 5. ხუროთმოძღვრება. 6. მწერლობა. 7. ხელოვნება-მხატვრობა. 8. სამართალი. 9. ქორონიკონი და კალენდარი. 10. მკურნალობა. 11. გალობა. 12 (დამატება) ანდაზა-გამოცანები.

ეს დაწერილია და ბეჭდვის დროს პროგრამა, ალბად, გაფართოვდება ან აქა-იქ შეიცვლება.

ამ შრომას არავითარი პოლემიკური ხასიათი არა აქვს, არამედ წმინდა პედაგოგიური; კრიტიკულად გარჩეულ ყველასაგან სარწმუნოდ მიჩნეულ ანუ მისაჩნევ წყაროების დაგვარად საქართველოს მოკლე „ისტორიულ-კულტურულ“ ყოფავითარების გამოხატვა.

ამ გვარ ხასიათის გამო, ვფიქრობთ, ჩვენს საკითხავ—წერილებს უყურადღებოდ არ სტოვებს თვით პატივცემული საზოგადოება და დიდის გულდასმით ისმენს ჩვენს არა-ხელოვნურად წარმოთქმულს მართალს სიტყვას. **მ. ჯანაშვილი.**

## ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები

**პეკინი.** თანშაოიმ პრეზიდენტს აცნობა, მინისტრების სურვილმა, რომ ქალაქში ამალად ჯარი შემოეყვანათ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ამის გამო მათ ხელი აიღეს ამ განზრახვაზეო.

ლიანქუნი ვიცე-პრეზიდენტობასთან ერთად გენერალურ შტაბის უფროსიც იქნება.

ჩინელებსა, მანჯურელებსა, მონგოლთა, ტიბეტლებსა და მუსულმანებს ნება აქვთ ერთმანეთში ქორწინებისა.

ხალხს გამოუცხადეს: ქალის ფეხების დაკალაპოტების ჩვეულება უნდა მოისპოსო.

ჩენდეცვიანი ცზიანუს პროვინციის მმართველად გამწესეს.

**ხანკოუ.** გუშინ სუნიათზენი შანჰაის წავიდა. უჩანში სუნიათზენს გამოსათხოვარი სიტყვა წარმოუთქვამს და ხალხისათვის რჩევა მიუცია: საჭიროა სატახტო ქალაქად სხვა ქალაქი გამოვაცხადოთ პეკინის მაგივრად, რადგანაც იქ უცხოელთა ჯარი ჩამდგარა და რესპუბლიკა დაუსუსტებიაო. სატახტო ქალაქად მისის რჩევით უჩანი უნდა გამოცხადდეს.

**პარიზი.** რუსეთი და საფრანგეთი ჩინეთის საკითხისათვის შეთანხმებულან. სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ ახალი მთავრობა ჩინეთისა კანონიერად მხოლოდ მაშინ აღიარონ, როდესაც ევროპიელების უზრუნველყოფასა და წესიერების დაცვას მოახერხებს. ჩინეთს მთავრობის კანონიერად აღიარების შემდეგ, სესხს მისცემენ, მანამდე კი მხოლოდ მცირე თანხას მისცემენ.

**ურგა.** ამბობენ, აქ ჩამოსულს ჩუერიმის სეიმის მთავარს არაქუამუნს სამხედრო მინისტრის თანაშემწეობას ჩააბარებენო. ბევრ ოლქიდან განცხადება მისდის თურმე ხუტუხტას, ხალხს ჩვენც უერთდებითო. ამნაირად, მონგოლეთი ნამდვილად ჩამოჰშორდება ჩინეთსა და მონგოლთა მოძრაობაც საეროვნო ბრძოლის ხასიათს მიიღებს.

## არეულობა სპარსეთში

### დეპეშები

**თავრიზი.** საპეხდარი თავრიზისა და ადერბეიჯანის სხვა ადგილების მცხოვრებთა თავის შეუტყობინებია თავისი გენერალ-გუბერნატორად გამწესების ამბავი. ფიდაებს საპეხდარი თავის მომხრედ მიაჩნიათ და თავრიზში გროვდებიან.

ამბობენ, ურმიის გუბერნატორად იჯლალ-ულ-მულკს გაამწესებენო.

ადერბეიჯანის მცხოვრებნი ძალიან აუშფოთებია სალარ-უდ-დოულეს მოქმედებას, რადგან მის მხედრებს ბამჯარი აუღიათ.

სალარს ქურთთა ბელადებისათვის ბრძანება დაუგზავნიაო: შემომიერთდით და თეირანი ამაღებინეთო. თან ემუქრება, ცუდ დღეს დაგაყენებთ თუ ბრძანება არ შეგისრულებიათო.

**თეირანი** რეგენტის ევროპაში გამგზავრების ამბავი მთავრობამ გამოუცხადა ხალხს.

სალარ-უდ-დოულე მთავრობას არ ემორჩილება, რის გამოც ბახტიართა რაზმი სერდარ-ასადის მეთაურობით თეირანიდან ზენჯანს წაივიდა. ზენჯანში მაჰმად-ხანი და ქუჩალი-ხანი ხალხს არბევენ და აწიოკებენ.

**თავრიზი.** სალარ-უდ-დოულეს 8000 მხედარმა ზენჯანი აიღო. მოჯაუს-სალტანე სალარის მხედრობამ გურბისაკენ გააქცია, რომელიც ზენჯანსა და ქამადანს შუაა. ხალხი შეშინებულა. ქალაქში ხალხი კრებებსა ჰმართავს და ისევ შუჯა-უდდოულეს გენერალ-გუბერნატორობას თხოულობს. არეულობის სათავეშივე ჩასაქრობად ზომებს ღებულობენ. თავრიზში საპეხდარს მოელიან, რის გამოც ფიდაები ისევ გროვდებიან ქალაქში.

---

საწერად“? ან და „ჭკვიან“ კაცს ეკადრება ისეთი გრძნობა და აზროვნება, რომელსაც ავტორი გოგიას აწერს? „...იმისთვის სულ ერთი იყო, სწერს იგი, ვინც უნდა შეერთო, ოღონდაც მართლა შვილი მისცემოდა“.

გოგია, ავტორის სიტყვით, „თავმოყვარეც“ იყო. მაგრამ განა თავმოყვარე კაცისთვის ბუნებრივია გოგიას საქციელი? ავტორი ამბობს: „გოგიამ მალე შეიტყო რევაზის და ქანას დამოკიდებულობა, მაგრამ რა ექნა? იმისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ სოფელში არ დაეწყოთ ლაპარაკი“. ეს თავმოყვარე კაცის ფსიხოლოგია როდია! ასეთი აზრი და გრძნობა უფრო შეჰფერის ჩვრად ქცეულ და თავლაფ დასხმულ ადამიანს!

ან და ისე როგორ უნდა ფალაჩრდეს ქართველი კაცი, თუ გინდ ღრმად მოხუცებულიც, რომ მოითმინოს ცოლი და მისი საყვარლის თავხედური მოურიდებლობა და არ აღელდეს მაინც?! გოგია კი რაღაც უსისხლ-ხორცო ადამიანადაა დახატული. რევაზი და ქანა აივანზე მარტოდ არიან და კურ-კურობენ. „ამ დროს მოისმა კარის ჭრიალი. ორივემ იქითკენ გაიხედეს. ეზოში შემოვიდა თოხით ხელში გოგია, და იმათკენ არც კი მიუხედნია, ისე სიმინდისკენ წავიდა“ (გვ. 80), სწორედ ვერ გაგვიგია: რანაირი ხასიათის ტიპი ჰსურს დაგვიხატოს ავტორს— ტიპი მომთმენის, ქრისტიანული შენდობის გრძნობით გატაცებული ადამიანის, თუ ჩვეულებრივის, თავმოყვარეობის მოკლებულის და დაძაბუნებულის, ქმრის?! გონიერების წინააღმდეგია გოგიას ცხოვრებაში ის ფაქტიც, რომ ის მამულ-დედულის დაკარგვის შემდეგ ქუთაისში მიდის სამუშაოდ. მოთხრობიდგან სჩანს, რომ გოგია „მშრომელი“ გლეხი იყო. მას პოეტურად, ღრმად უყვარდა თვისი ნაჭირნახულევი ყანა და ოფლით მორწყული სიმინდი. როცა გოგიას უბედურობა ეწვია—ქანა გაექცა, ის ყანაში მიდის, ოფლით მორწყულ სიმინდს უნდა გაანდოს თვისი ტანჯვა. შრომა, მუდამ დღე ჯაფა, სოფელი და სასოფლო მუშაობა გოგიასთვის სიცოცხლის წყაროა; მისი სული და გული ამ სოფლურ ცხოვრებასთან და მიწასთან არის ნათესაურად გადაბმული და შეკავშირებული. კაცი, რომელსაც სამოცი წელიწადი სოფელში უცხოვრია, მიწას დამეგობრებია, იმასთან გადაბმულა გაუწყვეტელ სულიერ კავშირით, ეს კაცი ასე ადვილად ვერ მიატოვებს სუყველაფერს, რასაც მისი სული, გონება და გრძნობა შესჩვევია. მხოლოდ აუცილებელ შიმშილით სიკვდილის მოლოდინი თუ გააწყვეტინებს მას სოფელთან კავშირს და მაწანწალად გააგდებს ქალაქად. გოგიას კი შიმშილით სიკვდილი კი სრულებით არ მოელოდა. გოგიასთანა ჭკვიანი, მშრომელი და თან პატიოსანი კაცი ყოველთვის იშოვნის საზრდოს სოფელში, მოწყალეობით კი არა, პირადის შრომით, გარჯით. განა ჩვენში ცოტაა ისეთი გლეხები, რომლებსაც მიწა-წყალი არ აბადია, მაგრამ სხვას მამულის დამუშავებით და სხვაგვარ შრომით ოჯახს მაინც არჩენენ. გოგიასაც ასე შეეძლო ერჩინა თავი, მით უმეტეს, რომ სარჩენი ოჯახი არ ჰყავდა. ამისათვის მისთვის არავითარ აუცილებლობას არ შეადგენდა უსათუოდ ქუთაისში წასულიყო დღიურ მუშად. მაგრამ გოგიასი რა ბრალია, როდესაც ეს უსათუოდ საჭირო იყო ავტორის ყალბი მიზნისათვის—ეჩვენებინა ჩვენთვის შედეგი ადამიანის ბოროტებისა! ქუთაისში ავტორმა გოგია მათხოვრად გადააქცია და ამ ნაირად შეახვედრა მათხოვარადვე გამხდარ ქანას... ასე უხერხულად კონკავს ავტორი თვის მოთხრობას. მას უსათუოდ სწადია გამოიწვიოს მკითხველში სიბრალული უბრალოდ დასჯილ გოგიასადმი. ამ გრძნობის გამოსაწვევად ის თითონვე სამჯერ ოხვრით წამოიძახებს: „საბრალო გოგიაო“. ასეთის საშუალებით სიბრალულის გამოწვევა და საზოგადოდ შთაბეჭდილების მოხდენა პრიმიტიული ფანდია. სიმართლე რომ ვსთქვათ, გოგია სიბრალულის ღირსიც არ არის, რადგანაც თვისი დაუფიქრებლობით და სისუსტით თითონვე დაისაჯა თავი.

რევაზი სუყველაფერ ადამიანობას მოკლებული მელოდრამატიული გმირია: ის მოქეიფე და გარყვნილია; განხორციელებაა ანგარებისა. თუმცა ავტორი ცდილობს რაც შეიძლება შავად დაგვიხატოს მისი სახე, მაგრამ ის მაინც აჩრდილია მოსე მწერალისა, უფერული და უსისხლხორცო ჩონჩხია.

—

მოთხრობა **„ფეჩეიაც“** გარეგნულად უხერხულად და არა-ბუნებრივად არის აგებული. არავითარი მხატვრული ღირსება მას არა აქვს; ნიჭიერი შემოქმედის ზოლი მას არ ატყვია; არც ერთს მკაფიო და ცოცხალ დახასიათებას, არც ერთს ნამდვილს სურათს აქ თქვენ ვერ შეხვდებით. მოთხრობის ენაც უფერული და ბლაგვია. მსჯელობა, მსჯელობა და მხოლოდ მსჯელობაა გამეფებული მთელს მოთხრობაში. უეჭველია, რომ ავტორს აქაც წინდაწინ აუღია თემა, იდეია და მერე შეუხანხლავს მოთხრობა. მოთხრობაში აგრეთვე სიმეტრია და ზომიერება არ არის დაცული; თავის თავად პატარა მოთხრობაში ავტორს მოჰყავს ვრცელი ქადაგება (და ისიც შაბლონური) ბერი ზოსიმესი. თვით ამ ბერ ზოსიმეს მონაწილეობა მოთხრობაში შემთხვევითია, ეპიზოდურის ხასიათისაა. ეს მთაწმინდელი ბერი სწორედ მაშინ გამოჩნდება ხ—ვის საყდრის გალავანში, როდესაც მოთხრობის უმთავრესი გმირი ფეჩეია (ბუში) გაიგებს, რომ მისი საყვარელი თომა (ცეთილიოზბილთა შვილი) დედ-მამის ძალდატანებით სხვაზე დაიწერს ჯვარს. მამა ზოსიმეს ავტორი სწორედ ამ დროს წარმოათქმევინებს ქადაგებას, რათა ფეჩეია შეურიგდეს ცხოვრებას და ცხოვრების სულ სხვა გზა აირჩიოს, ე. ი. მონოზნად შესდგეს და ხალხის სამსახურს შესწიროს თავი.

ძლიერ არა-ბუნებრივად და შეუსაბამოდ აქვს ავტორს აწერილი თვით პროცესსი ზოსიმეს ქადაგების გავლენისა ფეჩეიაზე. აი ის ადგილი: „გაათავა ზოსიმემ თავისი დარიგება და შემოავლო თვალი მსმენელთ, რომ გაეგო, ვისზე როგორ იმოქმედა იმისმა სიტყვამ. ზოსიმეს ყურადღება მაშინვე მიიქცია ერთმა ახალგაზდა ქალმა, რომელიც მოშორებით იჯდა და თავი დაეხარა. ამ ქალის მეტად გაწითლებული სახე, შეჭმუხვნილი შუბლი და ერთს წერტილზე მიჩერებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ მის ჭკუას ძალზე დაეწყო მუშაობა. ზოსიმე მიხვდა, რომ მისი სიტყვების შედეგი უნდა ყოფილიყო ამ უმანკო ქალის ჩაფიქრება და გული სიხარულით აევსო. ზოსიმეს დაავიწყდა სხვა ყველა და მარტო მას მიაჩერდა. დიდ-ხანს უყურა ზოსიმემ, დიდ-ხანს, თითქოს ცდისო თავის თვალების შთამგონებელ ძალას. აი, შეიძრა უეცრად ახალგაზდა ქალი, თითქო იგრძნოო, მას მისჩერებიან და თავი მაღლა აიღო, მერე შეხედა თავის დიდრონის, გრძნობით სავსე, თვალებით ზოსიმეს. ამათი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ; ქალმა ვერ გაუძლო ზოსიმეს თვალებს.

ზოსიმესთვის ეს შეხედვაც საკმარისი იყო. იმან მოასწრო კიდეც იმის ამოკითხვა ქალის თვალებში, რისი გაგებაც სურდა“... აქ შევსწყვეტთ ამოწერას, რადგანაც მერე და მერე უფრო უხერხულად, უფრო არა-ბუნებრივად და გადაჭარბებულად არის აწერილი ვითომდა ფსიხოლოგიური პროცესი ფეჩეიას გარდაქმნისა ზოსიმეს ზედგავლენით. ასეთი მომენტის და სულის განწყობილების დასახატავად საკმარისია ორიოდ-სამიოდ ნამდვილი მხატვრული ხაზის გასმა. დ. მეგრელმა კი ორ გვერდზედაც ვერ შესძლო ასეთი დასურათება, თუმცა ცდა არ დაუკლია. ჭეშმარიტ შემოქმედების საიდუმლოება სწორედ იმაშია, რომ მხოლოდ ცდა და სურვილი ვერ ჰქმნის ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს: საჭიროა ზეციური ძალა, ზედმთაგონება; ინტუიცია. ასეთი ძალა კი რჩეულთ ეძლევათ.

რომ დ. მეგრელი საზოგადოდ სიმპატიურ თემებს ირჩევს; რომ ის ყველგან თვის ნაწერებში ჰუმანიურ გრძნობას ჰქადაგებს; რომ მთელი მისი სიმპატია დაჩაგრულთა და ბედისაგან განწირულთა მხარეზეა; რომ ის გულმხურვალედ ჰგმობს ძალადობას და გარყვნილობას,—ეს ეჭვს გარეშეა. დ. მეგრელი მწერალი-მოქალაქეა: მას ცხოვრების სიდუხჭირე აღონებს; სწუხს, რომ ყველგან ბოროტება და გათახსირება ბატონობს. ამისათვის მას სურს ამ ცხოვრების სიდუხჭირეს ფანტაზიით შექმნილი იდეალური მოვლენანი დაუპირისპიროს. ამ სურვილის ნაყოფია ზოსიმეს და ფეჩეიას იდეალიზაცია. ავტორი ცდილობს დაგვიხატოს ისეთი იდეალური სასულიერო პირი, რომელსაც ყოველგან შეაქვს სინათლე, ქრისტიანული სიხარული, სიყვარული და სათნოება და რომელსაც სწადია გვაგრძნობინოს ძალა კეთილ მოძღვარს დარიგებისა და ქადაგებისა. ამ მიზნით ავტორი ვრცელ ქადაგებას წარმოათქმევინებს თვის გმირს. როგორც როგორც მფარველი ანგელოზი, ზოსიმე მთაწმინდიდგან ხშირად (ვითომც ეს ასე ადვილი იყოს) მოევლინება ხოლმე სამეგრელოს და თვისი დარიგებით მსმენელთ გულს უტკბობს, ვინ იტყვის, რომ ზოსიმესთანა პირნი საჭირონი არ არიან ხალხისათვის; მაგრამ თქვენი მტერი ხალხი მთაწმინდიდგან ჩამოსულ ზოსიმეს ამარა დარჩა და თვით სოფელშივე არ გაჩნდნენ ნამდვილი სულიერნი მამანი?! ავტორს აწერილი ყავს იშვიათი, ძლიერ იშვიათი პიროვნება და ამისთვის ის ტიპად, რასაკვირველია, არ გამოდგება. მართალია, ასეთი, პირები ჩვენში ძველად ბევრნი იყვნენ; დღეს კი გარდაშენდნენ, თითქმის აღარ არიან! ვინ არ იცის, რომ ჩვენ არ გვყავან ნამდვილნი მოძღვარნი და მასწავლებელნი. მე XIX საუკუნეში ჩაესვენა სხივი წარსულის მათის დიდებისა. როგორც დანარჩენი ჩვენი ერის ელემენტები. სასულიერო წოდებასაც დაეტყო დალაჩრება და დაწვრილმანება, ეს-ეს არის მას ხელიდგან გაუვარდეს, თუ კი ჯერაც არ გოვარდნია, სულიერი წინამძღოლობის და ბელადობის დროშა. თვითცნობიერების უქონლობა, შური და შუღლი, მუნჯობა და საზოგადოდ გონებრივ-ზნეობრივი ჩამოქვეითება —ეს საერთო ქართველების სულიერი ავადმყოფობაა—მის თვისებასაც შეადგენს. დღეს-დღეისობით ის მეცნიერებას ჩამორჩა, ქადაგება არ ეხერხება, მასწავლებლობას გაურბის, ეკკლესია-მონასტერი არ აინტერესებს, ჩაგრულს არ ჰქომაგობს, სულიერი სიმხნე და სიძლიერე, ქრისტიანული თავდადება და სიმართლისათვის ტანჯვა და წამება მის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა... დიახ, „აღარ არიან, აღარ ისმიან“, მაგრამ ავტორის სურვილი მაინც სიმპატიურია: მას სურს ოცნებით მაინც შეჰქმნას ის, რაც აღარ არის, რასაც სინამდვილეში ადგილი აღარა აქვს, რაც „ზღაპარსა ჰგავს“.

შედარებით უფრო ბუნებრივად არის დახატული ფეჩეია, თუმცა მისი ფიზიკური სიმშვენიერე ისევე გაზვიადებულად და დაახლოვებით იმავე სიტყვებითა აქვს აღწერილი, როგორც ეკასი. ფეჩეა „ვარდივით იშლებოდა და მალე მიიქცია სოფლის ბიჭების ყურადღება. როცა ფეჩეია კვირა-უქმე დღეს „ობირეში“ (საცეკვაო და სასიმღერო ადგილი) გამოვიდოდა და ლეკურს დაუვლიდა, ყველას იმაზე რჩებოდა თვალი. ბევრი ყმაწვილი ბიჭისთვის აუტოკებია ფეჩეიას გული, ბევრის გულში აუნთია სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ ფეჩეიას თავი მაგრა ეჭირა და არავის არ უახლოვდებოდა“ (გვ. 101).

(შემდეგი იქნება)

**ივ. ვართაგავა.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

1—2 აპრილი

**ხორვატიის საკითხი.**

**სპლეტი.** ხორვატიის უფლების დალმატთა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა რეზოლუცია გამოიტანა და ხორვატელებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

**ოსმალეთი და ქურთები.**

**ურმია.** ოსმალებმა სია შეადგინეს ყველა ქურთისა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან. ქურთებს ეშინიანთ, ვაი თუ ამას საყოველთაო სამხედრო ბეგარა მოჰყვესო. მანგურისა, მამაშისა და ფირანის თემებს, რომელნიც აქამდე ოსმალებს ეხმარებოდნენ, განუცხადებიათ, იარაღით გაგიწევთ წინააღმდეგობასაო. ამბობენ, ოსმალეთის კაიმაკამმა, ორი ზარბაზნითა და ქვეითა ჯარის ნახევარ როტით უკმაყოფილო ქურთთა წინააღმდეგ გაილაშქრა. აჯანყებულთა რიცხვი 100.

სოუჯ-ბულაყიდან იუწყებიან: ქურთები დაეცნენ ამერიკელთა სასულიერო მისიას და ამერიკის დროშის ჩამოხსნა მოითხოვესო. ოსმალეთის კონსული წასულა და ძლივს აღუდგენია წესიერება.

**ოსმალთა მოგროვილი ფული.**

**სარაევო.** ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მაჰმადიანობას ოსმალეთის მეომართა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ მილიონის მეოთხედი კრონი მოუგროვებია.

**სერბიის არჩევნები.**

**ბელგრადი.** ხვალ „სკუპჩინისათვის“ დეპუტატთა არჩევნები დაიწყება.

**ჯიოლიტის მოლაპარაკება.**

**რომი.** იტალიის მინისტრ-პრეზიდენტი ჯიოლიტი დაბრუნდა. იგი სუნ-ჯულიანოს, სამხედრო და საზღვაო მინისტრს მოელაპარაკა.

**გირსის ჩასვლა.**

**სტამბოლი.** ნაღმოსან „კუბანეცით“ რუსეთის ელჩი გირსი ჩამოვიდა.

**ოსმალთა წასვლა.**

**რომი.** ოსმალთა რაზმმა ზუარი მიატოვა და იგი იტალიელებმა აიღეს.

**რ უ ს ე თ ი**

**პოლონელთა დაჯარიმება.**

**კიევი.** კიევის გუბერნატორმა პოლონელთა საიდუმლო სკოლის დამაარსებელნი დააჯარიმა, აზნაური სამსონოვიჩი 300 მანეთით, ხოლო მდაბიო მოქალაქე ვრუბლიოვსკი 100 მანეთით.

**მაცოხის საქმე.**

**პეტროკოვი.** დამაზმა და ელენემ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს. პროტესტი განუცხადებიათ აგრეთვე ბრალმდებლებსა. პროკურატურა მოითხოვს, დამაზი მაცოხი უნდა დაისაჯოს, როგორც ჩამდენი ბოროტებისა წინასწარის განზრახვითაო; შეცდომააო, ვითომც ელენეს მკვლელისათვის განზრახ მფარველობა არ გაეწიოსო.

**ხუნხუზთა თარეში.**

**ხარბინი.** ნინცზიშანის სადგურთან ხუნხუზებმა ცხენის ჯოგი გაირეკეს. სროლის დროს ორი მწყემსი რუსი მოუკლავთ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, პირველ აპრილს განსვენებულ გ. სუნდუკიანცის სახსოვრად წარმოადგინეს მისივე კომედია „პეპო“ და „კიდევ ერთი მსხვერპლის“ მესამე მოქმედება.

ქართულ თეატრში მოსიარულეთ, უეჭველია, ეცოდინებათ რა პიესაა „პეპო“. იქ გამოხატულია ორი წრის შეტაკება: ფულისა და ძველებურ პატიოსნება — გულ-უბრყვილობისა. მაშინდელი დროა აღებული, როდესაც კაპიტალიზმი, ჩარჩობის სახედ ქცეული, ნელ-ნელა მოაბიჯებდა ტფილისის ცხოვრებისაკენ, ის დროა დახატული, როდესაც მცხოვრებთა ერთ ნაწილში ძველი ტრადიციები ისევ ცოცხალი იყო და ახსოვდათ დრო, როდესაც თამასუქის მაგიერობას ულვაშის ერთი ღერი გასწევდა.

ყველამ იცის პეპოს ამბავი და ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია შინაარსის გადმოცემა.

რამდენადაც სუსტნი იყვნენ წინა წარმოდგენაზე („ქეთევან წამებული“) ჩვენი მსახიობნი, იმდენად უნაკლონი გამოდგნენ ამ საღამოსა. ყველა თავის ქერქში იყო, ერთსაც არ უღალატნია ნაკისრი როლისათვის.

ზიმზიმოვის როლს („პეპო“) **ვ. აბაშიძე** თამაშობდა. ამ საღამოს ბ-ნმა აბაშიძემ დაგვატკბო, მოგვაჯადოვა და ჯანსაღის სიცილით კინაღამ დაგვხოცა.

მშვენიერი იყო აგრეთვე **კ. ყიფიანი** გიქოს როლში და საზოგადოებაც დიდად ასიამოვნა.

არა უშავდათ-რა ჩერქეზიშვილს (შუშანა), ვიქტორელს (კეკე) და ა. კარგარეთელსა (ნატალია), აწყურელს (კაკული) და ზ. საფაროვს (გიგოლა). **ბ-ნი გამყრელიძე** (პეპო) პირველსა და მეორე მოქმედებაში სუსტობდა, მაგრამ მესამეში შთაბეჭდილება გამოაკეთა. საერთოდ კი ბ-ნ გამყრელიძეს ამ დღეს თითქოს ტემპერამენტი აკლდა.

„კიდევ ერთ მსხვერპლში“ კარგი იყო ბრილიანტოვის როლში **ვ. გუნია** და შეუდარებელი **ვ. აბაშიძე** სერგეი იტრარიჩის როლში, ქ-ნმა **ტასო აბაშიძემ** ამ საღამოს ისე დაგვატკბო თავის ხელოვნურ თამაშითა, იმდენად ბუნებრივად ეჭირა თავი სცენაზე თითქოს თავის სახლშიაო. საზოგადოება აღტაცებული შეჰყურებდა მსახიობ ქალსა.

შეუდარებელი იყო **დ. მგალობლიშვილი** ვანოს როლში. არა უშავდა-რა **კ. მესხს** მსახურის როლში.

დიდძალი საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დარჩა ამ საღამოის მწყობრ თამაშობისა.

**ქ—რე.**

**ნაძალადევის თეატრი.** კვირას, 1 აპრილს ნაძალადევის თეატრში წარმოადგინეს „პეპო“ განსვენებულ **გ. სუნდუკიანცის**. სახსოვრად. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 5 აპრილს. წარმოადგენენ **ივ. მჭედლიშვილის** ახალ პიესას **„ყაჩაღი ქიარიმა“** ტრაგედია 4 მოქ. აპოთეოზით.

**„მეფე ედიპი“ სახაზინო თეატრში.**

(დასასრული *)

კლასიკურ პიესის დადგმა ისე, როგორც ჩვეულებრივად იდგმება თანამედროვე პიესები, სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. ამას გარდა, საჭიროა დაცვა იმ განსაკუთრებულ სულიერ განწყობილებისა, რომელიც ძველ საბერძნეთის თეატრში არსებობდა ისე კი, რომ მოუხეშავი გადმოცემა დრამატიზმის განვითარებისა განიდევნოს. საჭიროა გაცოცხლება არა მარტო სოფოკლესის ტრაგედიისა, არამედ საბერძნეთის ინდივიდუალურ კულტურისა, საბერძნეთის მსოფლ-მხედველობისა, რამდენადაც იგინი სოფოკლესის ტრაგედიაში აღიბეჭდა. თუ ყველა ამას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ სცენის გადმოტანა თეატრის დარბაზში არც ქინიანი ორიგინალობაა, არც სენსაციების სიყვარული, არამედ აუცილებლობა. თუ ძველ ბერძენთა ტრაგიკოსის და საზოგადოდ ტრაგედიის განახლება გსურთ, უსათუოდ გვერდი უნდა აუქციოთ თანამედროვე სათეატრო ტეხნიკას და გამოსძებნოთ ახალი რამ საშუალება ყველა იმ გრძნობათა გადმოსაცემად, რომელითაც იყო გატაცებული ძველი ბერძენი.

ბ-ნი მარჯანიშვილი ასეც მოიქცა. მან სცენა შუა დარბაზში გადმოიტანა და ამით მოქმედება მაყურებელს დაუახლოვა; ამრიგად, რაოდენადმე თვით მაყურებელიც თითქმის მონაწილე ხდება მოქმედებისა სწორედ ისევე, როგორც ეს ძველს დროში ხდებოდა. არც ჩვეულებრივი ანტრაქტები, არც დეკორაციების ცვლა; მოქმედება გაბმით სწარმოებს თქვენს შორის. შთაბეჭდილება უფრო ძლიერი იქნებოდა, ტრაგედია სადმე ფართო ადგილას რომ დადგმულიყო. მაშინ ილიუზია უფრო ძლიერი იქნებოდა. თანამედროვე თეატრი შეუძლებლადა ჰხდის ასეთს ფართო მოქმედებას, მაგრამ ისიც, რაც ჩვენ სახაზინო თეატრში ვნახეთ, სრულიად საკმარისია ილიუზიის შესაქმნელად.

უპირველესად ყოვლისა არ შეიძლება მაყურებელმა არ იგრძნოს მთლიანობა შთაბეჭდილებისა. ყოვლად მძლე ბედი, რომელიც კატასტროფას იწვევს ედიპის პირადს ცხოვრებაში, საერთო რწმენის საგანია. ამიტომაც მოხუცნი როგორღაც აღუშფოთებლად შესცქერიან ედიპის ტანჯვას. მათ არ უკვირთ ყველა ის, რაც მოხდა; ხმა ამოუღებლად, წმინდა კლასიკურ, ბერძნულ გულმაგრობა შესცქერიან ამ ტანჯვას, როგორც ღმერთებისაგან გამზადებულ აუცილებლობას. მათს მანატონიურ, ერთგვარ და სწორედ ამიტომ გულშემზარავ ამოძახილში ისახება მორჩილება მომაკვდავ ადამიანისა ყოვლად მძლე განგების წინაშე. ეს მანატონიური ამოძახილი თეთრად მობზიზე თმებიან მოხუცთა ყველაფერზე მჭერმეტყველურად გადმოგვცემს ძველი ბერძნის ფილოსოფიურ სულიერ აგებულებას. ბედი, „მოიბა“ თავს დასტრიალებს არა მარტო ედიპს, არამედ ყველას. ბრბო, მოხუცნი, მხლებელი ქალები,—ყველას მოქმედებაში ნათლად გამოსჭვივის ეს ძირითადი ფსიხოლოგია ბერძენისა.

ბ-ნმა მარჯანიშვილმა შექმნა ეს მთლიანობა; თვითოეული წვრილმანიც კი გაგრძნობინებდათ, რომ საბერძნეთი აღსდგა თქვენს გონების წინ, აღსდგა თავის მდიდარ, ინდივიდუალურ კულტურით. რეჟისორის მიზანიც ხომ მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო.

მთელი ძალა სწორედ ამ მთლიანობაშია. თუ იგი დაცულია, კერძო ამსრულებელთ, რა თქმა უნდა, აღარ გაუჭირდებოდათ როლების ისე შესრულება, რომ ჰარმონია არ დარღვეულიყო. მართლაც, ბ-ნი მურომცევი, („მეფე ედიპი“) როგორც სხვებიც, იმდენად პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ როლებს, რომ არც ერთხელ საერთო ჰარმონია არ დარღვეულა.

**Homo.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ „სახალხო გაზეთის“ მე 554 ნომერში დაბეჭდილს ქნ. ელენე გიორგის ასულის ვაჩნაძის საპასუხო წერილში ფაქტიური შენიშვნა შემოვიტანო:

1. 1907 წ. გამართულ წარმოდგენიდან დარჩა 70 მან. კი არა, არამედ 80 მან. და 2. ის ორი თუმანი, რომელიც ვითომ და მე მქონდეს, არ არის მართალი. კომიტეტმა და თვითონ ქნ. ელენე გიორგის ასულმა ვაჩნაძემაც კარგათ იციან, რომ ის ფული (20 მან.) ქნ. ელენე მიხეილის ასულს ანდრონიკაშვილს აქვს და, მაშასადამე, კომიტეტმაც მას უნდა მოსთხოვოს.

**ლ. სამადაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულია სურათი წარწერით: „პირველად თქმული ქრისტე აღსდგა“, სურათი ზიჩისა.“ ხსენებული სურათი ეკუთვნის არა ზიჩს, არამედ კალდერონს და ზედ შემდეგი წარწერა აქვს: „Куда идешъ ты и азъ съ тобой (სადაც მიხვალ, მეც შენთან ვიქნები).*)

**კოტე ყიფიანი.**

*) როგორც ბ-ნმა კოტე ყიფიანმა პირადად განაცხადა, კალდერონის სურათი აქვს ალ. ყანჩელსა და გრ. დიასამიძეს. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ეს სურათი გადმოვბეჭდეთ გაზეთ „უტრო როსიი“-ის დამატებიდან, სადაც იგი ზიჩის სურათადაა აღნიშნული.

**რედაქცია.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ. საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/10, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულნი იმ დღესვე ინახულონ ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.


# განცხადებანი

## ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში.**

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—19)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.48)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(100—1615—45)

## იყიდება სახლი

**ნაძალადევში, ეკლესიის ზემოდ,** პროექტიროვანნი ქ, № 376.

4 ოთახი, სამზარეულოთი და ეზოგალავნით. ეზოში არის თონე და ხილის ბაღი. ფასი ხელმისაწდომია. ცნობებისათვის მიმართეთ **გ. ილ. კასრაძეს,** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს.

(2.343.1)

**დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე**

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

**„გ ი ო რ გ ი ს შ რ ო მ ა“**

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** (ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.**

(თ.—1145—18

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

(წ.—1131—29)

**გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა**

**თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში) და წ.-კ. საზოგადოებისა და ი. მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კიტა აბაშიძის** ახლად გამოცემული თხზულება: **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.**

ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—9)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება ქართველი მწერლების მოთხრობანი:**

| | |
|---|---|
| არაგვისპირელი I . . . . 50 კ. | „ კახეთის ამბოხება. 60 „ |
| „ II . . . . 40 „ | ყაზბეგი. სრული თხზულებ. 3—50 „ |
| „ III . . . . 40 „ | ყიფიანი ს. წვრილი მოთხრ. 50 „ |
| „ შიო თავაფი . 60 „ | შიუკაშვილი. განგება ღვთისა 15 „ |
| არდაზიანი. მეჯღანუაშვილი. . 50 „ | ჩარხიშვილი. ცხოვრებ. დ სიყვ. 40 „ |
| გაბაშვილისა ეკ. . . . . 1—20 „ | „ ვარინკას ამბავი . 15 „ |
| ერისთავი დ. ვისი ბრალია? 20 „ | ცაგარელი. გიორგი, მიხეილ! 10 „ |
| ია ეკალაძე. მოთხრობები. . 1 | წერეთელი გ. I . . . . 60 „ |
| კლდიაშვილი დ. I . . . 75 „ | „ II . . . . 60 „ |
| „ II . . . 75 „ | „ III . . . . 70 „ |
| ლარიძე. დილარიანი. . . 2— | წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადას. 1 მ. |
| მალაქიაშვილი. შოთა ბროლიძე. 80 „ | ქავჯ. ი. გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი?! ოთარაანთ ქვრივი, სახრჩობელაზე, მგზავრის წერილები, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, უცნაურ. ამბ. 77 „ |
| მგალობლიშვილი. მეველე, თ-დი იორნიმე, მთიული სოსე . 30 „ | ხუსკივ. თ. თხუზულებანი . . . 30 „ |
| მაჩხანელი. სოფლის კუნწულა 20 „ | „ ეკატ. ბატონიშვილი . 5 „ |
| ნინოშვილი ე. . . . . 1—50 „ | „ ლევან ბატონიშვილი. 10 „ |
| ფურცელაძე ა. ქიტესა . . 15 „ | ხევისუბნელი. ცხენის წურბელა 15 „ |
| „ მაციხვიტია . 40 „ | |
| „ ასული ისრაელისა . 30 „ | |
| „ ჩვენებური საქმის ბოლო. 20 „ | |
| „ ბრძოლა... ანუ გ. სააკაძე და მისი დრო. . . 1— | |
| ფრონელი ა. მთიულეთი. . 40 „ | |

ბე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—17)

**ხელოვნურად შეზავებული**

## სამკურნალო და ხილეულოვის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ^{სა}.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411, ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 5.**

(25.1160.6)

ვ უ რ ჩ ე ვ თ

## ბრინჯის ჰიგიენურ პუდრთა მეფეს

LA REINE DES POUDRES

**სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).**

1900 **წ. პარიზის ოქროს მედალი**

პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.

## „ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“

С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ

**მთავარი საწყობი:**

ტფილისი, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(11—1295—2)